

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო კ მ ი № 24

26 ნოემბერი 2018 წელი
ხაშური

სხდომის თავმჯდომარე- საკრებულოს თავმჯდომარე - მიხეილ ჯანაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ზურაბ ნოზაძე, გიორგი ბერაია, ლევან გამრეკელი, დავით გარადინსკი, ირინე გელაშვილი, დავით გელაშვილი, ელგუჯა გოგალაძე, შავლეგო დოლიძე, მიხეილ კაპანაძე, ნატო კიკაძე, ელზა კიკაძე, ლაშა ლუსმანაშვილი, გურამ მაზიაშვილი, მაყვალა მაისურაძე, როინ მახარობლიძე, დავით მეტრეველი, იმედა მეტრეველი, ცოტნე ნოზაძე, ალექსანდრე სიმონიშვილი, ნოვე ტაბატაძე, ზვიად ტეფნაძე, აკაკი ჩიტაძე, მერაბ ცხოვრებაძე, მამუკა წიქარიშვილი, ანა ხარებავა.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი დავით კიკნაძე; ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი სერგო ლალიაშვილი.

სხდომის თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი მიესალმა საკრებულოს წევრებს. მან საკრებულოს რიგით 24-ე სხდომა გახსნილად გამოაცხადა 15:00 საათზე და მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე - საკრებულოს 31 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 27 წევრმა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. დღის წესრიგის გაცნობამდე საკრებულოს წევრებს მოუწოდა, სხდომის მიმდინარეობისას, რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურული ნორმებისა და წესრიგის დაცვისაკენ. შემდეგ საკრებულოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგი:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 თებერვლის „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე" N12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ"

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების გაცნობის შემდეგ დღის წესრიგის პროექტს კენჭი უყარა:

მომხრე - 27

წინააღმდეგი - არცერთი
(დანართი თან ერთვის)

მოისმინეს:

1) ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 თებერვლის „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე" N12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ"

მომხსენებელი - მიხეილ ჯანაშვილი


თანამომხსენებელი - სერგო ლალიაშვილი

ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის სერგო ლალიაშვილის ინფორმაციით, ხაშურის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ხაშურის ცენტრალური სტადიონის დემონტაჟის შედეგად სავარაუდოდ მისაღები მეორადი გამოყენებესათვის ვარგისი სამშენებლო მასალების რაიმე მიზნით გამოყენება, ხოლო ამ მასალების პრივატიზების შედეგად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შეივსება მისი ღირებულების შესაბამისი თანხით, აქედან გამომდინარე ხაშურის მუნიციპალიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია მოხდეს აღნიშნული ქონების პრივატიზება.

აზრი გამოთქვას: დავით გელაშვილმა, ზვიად ტეფნაძემ, მიხეილ ჯანაშვილმა.
ხმათა უმრავლესობით განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება ოქმს თან ერთვის)
(მომხრე 27, წინააღმდეგი 0)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე



მიხეილ ჯანაშვილი